პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 14 დეკემბერი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი მეომარი

№ 674 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა საველე ელ. 1^6

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც· ნომპარელის სტრიქონი
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

გერმანიის მომავალი მთავრობა.

საპარლამენტო არჩევნების დამთავრების შემდეგ მმართველი ბურჟუაზიული პარტიები შეუდგენ ახალი მთავრობის შედგენას.

როგორც ირკვევა მომავალი გერმანიის მთავრობა შედგენილი იქნება უაღრეს რეაქციონერებისაგან.

გერმანიის სოციალ-გამყიდველები, რომლებიც ბურჟუაზიის ყურ მოჭრილი მონები არიან, არ შევლენ ამ მთავრობაში. ისინი დიდ იმედებს ამყარებდენ თავის გამარჯვებას არჩევნებზე, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მაინც მთავრობის გარეშე დარჩებიან.

გერმანიის ბურჟუაზიამ მტკიცედ გადასწყვიტა თავისი ხელით გაატაროს ცხოვრებაში ეგრედ წოდებული „დოუესის გეგმა“.

როგორც ჩვენ ვიცით დოუესის გეგმა ნიშნავს გერმანიის ინგლის-ამერიკის ახალშენად გადაქცევას. ამ გეგმის მიხედვით გერმანიამ აუარება გადასახადები უნდა გადაუხადოს ინგლის-ამერიკას და საფრანგეთს.

გერმანიის ბურჟუაზია მოწადინებულია ამ გადასახადის მთელი სიმძიმე მშრომელთა ხალხის კისერზე გადაიტანოს. მას ერთი კაპეიკის გადახდაც არ სურს. პირ იქით ამ დოუესის გეგმის გატარებით მას აზრად აქვს თავის მხრივ გაფლქვნას გერმანიის პროლეტარიატი და ამით მეტოქეობა გაუწიოს უცხოელ კაპიტალისტებს მსოფლიო ბაზარზე.

სწორეთ ამიტომ დათანხმდა გერმანიის ბურჟუაზია დოუესის გეგმაზე და სწორედ ამიტომ ე გულმოდგინეთ იცავს მას. მომავალ მთავრობის ძირითად ამოცანას შეადგენს გეგმის ცხოვრებაში გატარება.

ცხადია მთავრობის შემადგენლობაც ისეთი უნდა იყოს, რომ შეურყევლად შესძლოს მისი განხორციელება.

ბურჟუაზიამ კარგათ იცის, რომ დოუესის გეგმის განაღდება მეტის-მეტად ძნელი და რთული საქმეა. ამიტომ ის სცდილობს ამ თავითვე ისეთ მთავრობას მიანდოს მისი გატარება, რომელიც არაფრის წინაშე არ დაიხევს. თუმცა ის დიდათ ენდობა სოციალ-დემოკრატიას, რომელიც მისი ერთგულია. მაგრამ ამ საქმისათვის მას სჭირია უფრო მაგარი და დაუნდობელი ხელის პატრონი მთავრობა უაღრეს რეაქციონერებისაგან შემდგარი.

სწორედ ამ მოსაზრებით გერმანიის ბურჟუაზიამ მთავრობის გარეშე დასტოვა სოციალ-დემოკრატები და მემარჯვენეებისაგან ადგენს მთავრობას.

ამნაირად გერმანიის მტაცებელ ბურჟუაზიამ მტკიცედ გადასწყვიტა გერმანიის პროლეტარიატის ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმის და თავისი საწველ ფურად გადაქცევა.

დოუესის გეგმა საშინელ ტანჯვის დღეებს უქადიან გერმანელ მუშებს.

ინგლის-ამერიკული იმპერიალიზმი გერმანიის ბურჟუაზიასთან შეთანხმებით განადგურებით ემუქრება მშრომელთა მასებს.

და კვლავ გერმანიის პროლეტარიატის წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით წამოიჭრება დაუნდობელი რევოლიუციონური ბრძოლა მყვლეფელების წინააღმდეგ. სხვა გამოსავალი მას არ აქვს.

კაპიტალის შემოტევას მან უნდა უპასუხოს კონტრ-შეტევით.

მისი ხსნაა პროლეტარულ რევოლიუციაში კომპარტიის ხელმძღვანელობით.

კრასინმა რწმუნებულების ბარათი ჩააბარა დუმერგს.

კრასინის სიტყვა.

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა კრასინმა ჩააბარა საფრანგეთის პრეზიდენტ დუმერგს რწმუნებულების ბარათი.

კრასინმა განაცხადა: „მე მინდა დაგარწმუნოთ რომ ჩემი მიზანია განმტკიცებულ იქნას ჩვენ შორის წრფელი მეგობრული განწყობილება ორივე ქვეყნის ეკონომიურ ინტერესების სასარგებლოდ.

მე გავაკეთებ ყველაფერს ამ მიზნისათვის და დარწმუნებული ვარ იმაში, რომ საფრანგეთის რესპუბლიკა თანამშრობას გამიწევს ჩემზედ დაკისრებულ მისიის შესრულებაში„.

დუმერგის პასუხი.

საპასუხო სიტყვაში დუმერგმა განაცხადა: „თქვენ თქვენი სურვილით აკმაყოფილებთ საფრანგეთის სურვილს, რომელსაც არა-ერთხელ დაუმტკიცებია თავისი მეგობრული გრძნობები რუსეთის ხალხის მიმართ.

საფრანგეთის ხალხი იცავს სხვა სახელმწიფოს საქმეში ჩაურევლობის პრინციპს და ეს იქნება წესი ჩვენ სახელმწიფოების ურთიერთობაში.

მე გარწმუნებთ თქვენ, რომ თქვენი დიპლომატიურ მოვალეობის ასრულებას დროს, თქვენ იპოვით რესპუბლიკის მთავრობის მხრივ“ დახმარებას.

გართულებული მდგომარეობა.

იტალიის ფაშისტების კანონპროექტით პრესის შესახებ უკმაყოფილო არიან ლიბერალები, ფრონტოვიკები და ჟურნალისტი დეპუტატები.

ამის გამო მთავრობა რთულ მდგომარეობაში ჩავარდება, ვინაიდან 130 დეპუტატს გარდა, ოპოზიციაში ჩადგება კიდევ 116 კაცი და მთავრობის უმეტესობა დადგება 260 დეპუტატზე.

ბამბის კულტურა.

მებამბეობის განვითარებას საზოგადოთ დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს. როგორც პირად ცხოვრებისათვის, ისეთვე გლეხის პირად ცხოვრებისათვის. რადგან ბამბა უფრო მეტ მოსავალს იძლევა, ვინემ სიმინდი ან პური. უბრალოთ, რომ ვიანგარიშოთ, კარგ მიწაზე მოყვანთ ორმოც და ათ ფუთ სიმინდს და ოც და ხუთ ფუთამდე პურს. ბამბა კი მოგივათ ოც და ათი ან ოცდა თუთხმეტი ფუთი. ფასებში რომ ავიღოთ ორმოცდა ათი ფუთი სიმინდი თავისი ჩალით და ლობიოთი ბევრი მიიღოთ ორმოცი მანეთი, აზრეთვე პურის მოსავალი. ბამბა კი ერთი ფუთი ღირს ოთხი მანეთი და ათი შაური, რომ იანგარიშოთ ქცევა ბამბა მოგცემთ ცამეტ თუმნიდან თუთხმეტ თუმნამდის ე. ი. სამჯერ და ოთხჯერ მეტ შემოსავალს იძლევა ბამბა. იმპერიალისტურ ომის დაწყებამდის ბამბა ბლომათ ითესებოდა დასავლეთ საქართველოში და გასავალიც კარგი ქონდა. ომის დაწყების შემდეგ კი რადგან ბამბას ბაზარი არ ქონდა გლეხობამაც დაანება თავი მის მოყვანას. ეხლა კი მდგომარეობა შეიცვალა. ჩვენი ფაბრიკები უკვე ამოძრავდენ და ბამბის მოთხოვნაც საჭირო შეიქნა.

ამიტომ წელს დასავლეთის გლეხობამაც მოიყვანა ბამბა. მაგრამ არა იმ რაოდენობით, რასაც წინეთ იწევდა, რადგანაც სრულიათ არ იყო დარწმუნებული იმაში, რომ ბამბას ბაზარი ექნებოდა და გაასაღებდა. როგორც ზევით ავღნიშნე ამჟამათ მთელი ბამბით მომუშავე ფაბრიკები უკვე ამოძრავდენ. მაგრამ ბამბის უქონლობის გამო ბამბის მანუფაკტურა არ გამოდის იმ რაოდენობით, რაც გვჭირდება. ამიტომ მთავრობას უხთება ათი ათასი ვერსის სიშორიდგან ამერიკიდგან იყიდოს ბამბა ოქროს ფულზე და ისე აამუშაოს ფაბრიკები. ჩვენში ეს არ უნდა ხთებოდეს, რადგანაც ჩვენ ადგილი ბამბის მოსაყვანი ბევრი გვაქვს და ბამბას კი ცოტას ვთესთ. ეს იმ დროს, როდესაც ჩვენი ხაზინა ღარიბია და ამ ღარიბ კასიდგან ოქროს ვაძლევთ ამერიკის მილიონერებს. უკეთესი არ იქნება რომ ჩვენ ბლომათ დავთესოთ და მოვიყვანოთ ბამბა და ჩვენს გლეხს მივსცეთ სარგებლობა, ვინემ ვიღაც ამერიკელს! ცხადია, რომ ჩვენმა გლეხმა უნდა ისარგებლოს. ამიტომ საჭიროა ყველა მშრომელი დაინტერესდეს ამ საკითხში და რაც შეიძლება მეტი ბამბა მოიყვანოს, ვინემ სიმიდი, რადგან, როგორც ზევით ვთქვი ერთი ოთხათ მეტი შემოსავალი ექნება ბამბაში, ვინემ სიმინდი რომ მოიყვანოს. გაყიდულ ბამბით გლეხს შეუძლია სიმინდიც შეიძინოს და პურიც და ფულიც დარჩება კიდევ. კარგი იქნება ქართლ-კახეთის გლეხობამაც მოკიდოს ხელი ბამბის მოშენებას.

ნუ შეეშინდება ვინმეს, რომ ბამბა დარჩება მას გაუყიდველი. რუსეთს რამოდენიმე ათი მილიონი ფუთი ბამბა სჭირდება თავის ფაბრიკებისათვის და არამც თუ საქართველოში მოწეული ბამბა ეყოს, არამედ ასი საქართველოს მიწის ოდენა ბამბა რომ ითესებოდეს ყოველ წლიურად რუსეთს მაინც მეტი დასჭირდება.

ს. ლ—ძე.

ამხ. კრასინის მოკვლის განზრახვა

სპაბები ამოძრავდენ.

გავასის სააგენტოს ცნობით, პარიზში საბჭოთა საელჩოს შენობასთან დააპატიმრეს რუსი ემიგრანტი ქალი, რომელსაც გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდა რევოლვერი.

ქალმა განაცხადა, რომ ის ჩამოვიდა პარიზში კრასინის მოკვლის მიზნით.

დაწვრილებითი ცნობა კრასინის მოკვლის განზრახვის შესახებ.

დაპატიმრებული როგორც მან განაცხადა, აღმოჩნდა ვინმე დიქსონის ქვრივი (მამის გვარი ეგორიევა) 41 წლის, დაბადებულა რუსეთში და გათხოვილა ნიუ-იორკში.

დაკითხვის დროს მან განაცხადა: „მე მოვედი კრასინის მოსაკვლელად, ვინაიდან ის მოახდენს რევოლიუციას საფრანგეთში, როგორც ეს მოახდინა რუსეთში. მე გავექეცი ბოლშევიკებს და გავემგზავრე იტალიაში, სადაც შევიძინე რევოლვერი“.

გაჩხრეკის დროს დიქსონს აღმოაჩნდა 40 ვაზნა და წერილები იტალიურ და რუსულ ენაზე. მან განაცხადა, რომ ის მწერალია და ჩამოსთვალა გაზეთები, სადაც ის ათავსებდა მოთხრობებს.

ვინაიდან დიქსონს წაუყენეს ბრალდება მხოლოდ იარაღის უნებართვოდ ტარებისათვის, მას 5 დღეში გაათავისუფლებენ. ოთახის გაჩხრეკის დროს ვერაფერი აღმოაჩინეს.

ჩვენი საგარეო ვაჭრობა ძლიერდება.

ბრაზილიამ მიმართა საბჭოთა კავშირს სავაჭრო კავშირის აღდგენის შესახებ, რომელსაც სხვა საქონელს გარდა სჭირდება ტილო. სართევ სინდიკატმა გადასწყვიტა გააგზავნოს ბრაზილიაში ნიმუშები ფასების აღნიშვნით.

უკრაინა-საფრანგეთის ვაჭრობა.

განზრახულია ვაჭრობის აღდგენა უკრაინისა და საფრანგეთს შორის.

საჭიროდ იქნა ცნობილი ახლო დროში დაარსდეს პარიზში უკრაინის საგარეო ვაჭრობის რწმუნებულთა სპეციალური წარმომადგენლობა.

ინგლისის პროფკავშირთა დელეგაცია ლენინგრადში.

ინგლისის დელეგაცია სამ ჯგუფად დაიყო ლენინგრადის დასათვალიერებლად. დელეგაციამ ქარხნების შემდეგ დაათვალიერა სასადილოები; პერსელმა განაცხადა, რომ ასეთი სასადილოები მე ჯერ არ მინახავს ფაბრიკა-ქარხნებშიო. შემდეგ მან მიმართა მუშებს შემდეგი სიტყვებით: „ყველაფერი ის, რაც ჩვენ აქ ვნახეთ, ამტკიცებს პროლეტარიატის დიდ ორგანიზაციულ უნარს.“

სასადილოში გაიმართა მიტინგი, სადაც ფინდლეიმ განაცხადა: „ჩვენ დავათვალიერეთ ყველაფერი, ფაბრიკა-ქარხნები, სახლები, სასადილოები. ჩვენ აღფრთოვანებული ვართ ყოველივე ამით. ასეთი სასადილოები ინგლისის მუშებს არ უნახავთ,

ინგლისის მუშებმა არ იციან თქვენი მიღწევების შესახებ, რადგანაც ისინი გახვეული არიან ბურჟუაზიული ჭორების ბურუსში, მაგრამ როცა სიმართლეს გაიგებენ, გამოფხიზლდებიან და დაადგებიან თქვენ გზას.

გაუმარჯოს მთელი ქვეყნის მუშათა ერთიან ფრონტს“!

12 დეკემბერს ინგლისის დელეგაცია გაემგზავრა ვოლხოვსტროიზე (უდიდესი ელექტრო სადგური).

ერთა ლიგის მე-32-ე სესია.

ირაქ-ოსმალეთის საზღვრის შესახებ.

შვეციის წარმომადგენელმა ერთა ლიგაში ირაქ-ოსმალეთის საზღვრის შესახებ განაცხადა, რომ საბჭოს გადაწყვეტილება დაუბრკოლებლად იქნა ცხოვრებაში გატარებულით-

„მზრუნველობა" ეროვნულ უმცირესობებზე.

შემდეგ ერთა ლიგის საბჭო გადავიდა ეროვნულ უმცირესობათა დაცვის საკითხზე, მოსახლეობათა გაცვლაზე და სხვა. შეტანილ იქნა აგრეთვე წინადადება, რათა ეთხოვოს საბერძნეთის მთავრობას დაუბრუნოს ალბანეთის მუსულმანებს საბერძნეთში დარჩენილი ქონება.

საბჭომ მოიწონა ეს წინადადება.

მენშევიკური მერყეობა.

მაკდონალდის მდგომარეობა სასაცილოა.

სასაცილოა ინგლისის ყოფილი პრემიერის, მაკდონალდის მდგომარეობა, როცა ის მოითხოვს „ზინოვიევის წერილის" შესახებ საქმის გამოძიებას. პრემიერობის დროს მან დაადასტურა წერილის სინამდვილე.

ცხადია, რომ ეს ტაქტიკა მაკდონალდს უკარნახა მუშათა პარტიის მარცხენა ფრთამ, რომელიც დღეს უფრო ღონიერია, ვინემ მუშათა მთავრობის დროს იყო.

რუმინეთის რევოლიუციონერებს სდევნიან.

რუმინეთის მთავრობამ შეიტანა სენატში კანონ-პროექტი, რომელიც მიმართულია კომპარტიისა და გლეხთა პარტიის მემარცხენე ფრთის წინააღმდეგ.

ახალი ცილისწამება.

რუმინეთის ოფიციალური სააგენტო იუწყება, რომ ვითომდა რუსულ ქალაქებში პოლიციამ აღმოაჩინა მრავალი საბუთი და კომუნისტური მოწოდებები.

ამის გამო დააპატიმრეს მრავალი რუსი და უნგრელი. დაპატიმრებულებს თითქოს აღმოაჩნდა მასალები საბჭოთა კავშირთან მიმოწერის შესახებ.

სრულიად კავშირის კორესპონდენტთა ყრილობა.

რელიგიური პროცესები მუშათა და გლეხთა მასებში.

(ამხ. იაროსლავსკის მოხსენება.)

12 დეკემბრის სხდომაზე მოხსენება გააკეთა ამხ. იაროსლავსკიმ, რომელმაც გააშუქა რელიგიური საკითხი მუშათა და გლეხთა მასებში.

„რელიგიური მიმდინარეობა და რელიგიური რწმენის შესუსტება ნაკლებად შუქდება გაზეთებში,—განაცხადა იაროსლავსკიმ. რელიგია კიდევ დიდ როლს თამაშობს მშრომელთა შორის, რაიც დაგვანახვა ჩვენ ლენინის გაწვევამ. გლეხები და მუშები აცხადებდენ, რომ ისინი ეთანხმებიან ლენინის პარტიას, მაგრამ მათ ხელს უშლის რელიგიის საკითხი. მაგრამ ლენინის პარტიაში შემოსულები ასე მსჯელობდენ: „ლენინის გზა თუ ყველაფერში სწორი იყო, მას არ შეეძლო შეცდომა რელიგიის საკითხშიაც".

კომპარტიამ პირველმა დააყენა ფართოდ რელიგიის საკითხი. მაგრამ მის მიერ მიღებულმა ზომებმა ჯერ კიდევ ვერ მოსპო რელიგიური ბურუსი მშრომელთა მასებში.

პრესამ უნდა გააშუქოს ეს საკითხი და გამოაშკარაოს რელიგიის ბნელი სარჩული, რომლის ქვეშ ხშირად სწარმოებს მკაცრი პოლიტიკური ბრძოლა.

ამ ამოცანაში პრესას უნდა დაეხმარონ მუშკორები და სოფლკორები და გააშუქონ მშრომელთა რელიგიური განწყობილება.

გამოძახილი რეველის ამბებზე.

ესტონეთში დახვრიტეს ექიმი პოლიაკოვი, რომელმაც საექიმო დახმარება გაუწია დაჭრილ აჯანყებულებს.

პოლიაკოვის დახვრეტამ დიდი აღშფოთება გამოიწვია ლენინგრადის მეცნიერების მუშაკთა შორის.

პროფესორ ბრაუნშტეინმა განაცხადა, რომ პოლიაკოვის დახვრეტა დაუჯერებელი ბოროტებაა, რომელიც ლახვარს სცემს კულტურულ კაცობრიობას.

წერა-კითხვის უცოდინარობის მე-5 წლის თავისთვის

(საუბარი ამხ. კრუპსკაიასთან.)

სრულიად რუსეთის წერა-კითხვის სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. კრუპსკაიამ როსტას თანამშრომელთან საუბარში განაცხადა: „წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის 5 წლის თავს ვდღესასწაულობთ ჩვენ მაშინ, როცა ეს კამპანია ღებულობს ზოგად პოლიტიკურ ხასიათს. ჩვენს წინაშე სდგას ამოცანა—ოქტომბრის რევოლიუციის მე-10-ე წლის თავისთვის გავუკეთოდ ლიკვიდაცია წერა-კითხვის უცოდინარობას.

ჩვენი ამოცანაა: პირველ რიგში გავაძლიეროდ მუშაობა შეკავშირებულ მოსახლეობაში. სოფელში ჩვენ გავაძლიერებთ მუშაობას თანდათანობით.

26 დეკემბერს უნდა აღინიშნოს უცოდინართა რაოდენობა.



ერთ-ერთი ლოზუნგთაგანი უნდა იყოს სწავლება კულტურულ შეფობის საშუალებით.

საჭიროა, რომ მთელმა კულტურულმა კაცობრიობამ, მიუხედავად პოლიტიკური შეხედულებისა, ზიზღი და შეჩვენება გამოაცხადოს ამ ზღაპრულ მოქმედების წინააღმდეგ.

„ხელშეუხებლობა."

საქსონიის ლანდტაგმა ჩამოართვა ხელშეუხებლობის უფლება კომუნისტ დეპუტატს შნელლერს.

უკანასკნელ არჩევნებზე შნელლერი არჩეული იყო რეიხსვერის დეპუტატად.

სასამართლო ებერტის შეურაცხყოფის შესახებ.

მენშევიკების ფარისევლობა.

მაგდებურგის სასამართლო არჩევს მემარჯვენე გაზეთის რედაქტორის საქმეს, რომელსაც ბრალად ედება ებერტის შეურაცხყოფა.

პირის პირ წაუყენეს ებერტი და მოწმე სირიგი. მოწმე ამბობს, რომ 1918 წელში ებერტი მოითხოვდა გაფიცვებს სამხედრო-სამრეწველო ქარხნებში. ებერტმა უარყო სირიგის ჩვენება და განაცხადა, რომ ის არას დროს არ ყოფილა იმ შეხედულების თითქოს გაფიცვები დააჩქარებდა ომის დასასრულს.

სოციალ-დემოკრატების ჩვენება ამტკიცებს მათ ფარისევლობას. სოციალ-დემოკრატების დელეგატები იგზავნებოდენ ქარხნებში გაფიცვების ჩასაშლელად, მაგრამ ისინი ფარულად მოქმედობდენ ამ საქმეში.

ახალი რეიხსტაგი მოწვეულ იქნება ამ დღეებში.

გერმანიის რეიხსტაგი მოწვეულ იქნება დეკემბერში.

რეიხსტაგის მოწვევა დაკავშირებულია საერთაშორისო პოლიტიკის სასწრაფო საკითხებთან, როგორიცაა, კელნის ზონის ევაკუაცია და სამხედრო კანტროლი.

საბჭოთა კავშირში

მოსავლიანობით დაზარალებულ გლეხობის დახმარება.

უკრაინის მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატს და სასოფლო სამეურნეო ბანკს განზრახული აქვთ მიმდინარე თესვის კომპანიის ჩასატარებლად დახმარება გაუწიონ მოუსავლობით დაზარალებულ გლეხობას. ამ მიზნით აღნიშნულმა დაწესებულებებმა გადასდვეს 5 მილიონ ნახევარი მანეთი.

ტრაქტორი-ს. ს. რ. კ. საუკეთესო მოქალაქეებს.

ჩელიაბინსკის საოლქო აღმასკომმა დაადგინა კაუდაისის რაიონის გლეხებს გადასცეს ჯილდოთ ტრაქტორი, დანიშნულ ვადამდე სასოფლო სამეურნეო გადასახადის შეტანისათვის.

ხალხის ჯალათების გასამართლება.

ბოქაული მახარაძის, კედიას და სხვათა საქმე.

10 დეკემბერს, დილას სასამართლოს სხდომა იხსნება. გრძელდება მოწმეების დაკითხვა. სასამართლოში გამოცხადდენ რამოდენიმე ათეული ახალი მოწმეები, რომელთა ზურგზე მახარაძეს და ძმათა მათთა მათრახით უვარჯიშნიათ.

არ გამოცხადდენ სასამართლოში განსაკუთრებულად გამოწვეულნი მოწმეები ამხ. ამხ. თენგიზ ჟღენტი, შ. ლეჟავა, ქავთარაძე და გომართელი. ამის გამო დამცველ ღვამიჩავამ ხელ ახლად აღძრა შუამდგომლობა სასამართლოს წინაშე, რათა ზემო დასახელებული მოწმენი გამოძახილნი იქნან, ვინაიდან მათ ჩვენებას დიდი მნიშვნელობა აქვს საქმისათვის.

სასამართლო დამცველის შუამდგომლობას აკმაყოფილებს.

შემდეგ იწყება მოწმეების დაკითხვა.

ყველა მოწმეები ერთხმად გამოსთქვამენ სიძულვილს და თავიანთ გულის წყრომას იმ დროის მიმართ, როცა მახარაძე და მისი ამხანაგები თავისუფლად თარეშობდენ მშრომელთა ზურგზე და ქმნიდენ მათთვის ჯოჯოხეთს.

ნაშუადღევს დამთავრდა მოწმეების დაკითხვა.

იწყება ბრალდებულების დაკითხვა.

პირველად ეკითხებიან შორაპნის მაზრის რეაქციის სულის ჩამდგმელს მახარაძეს. ის მოუთხრობს სასამართლოს მთელი თავის ისტორიას. ამის შემდეგ სასამართლოს სხდომა დაიხურა.

საღამოს სასამართლოს შენობას მოადგენ ახლო-მახლო სოფლის გლეხობა და დეპოს მუშები. მათ გამოიძახეს სასამართლოს თავმჯდომარე და სთხოვეს ბრალდებულების სასტიკად დასჯა.

საბჭოთა ორთქლმავლები და რონოდები.

ლენინგრადის სამანქანათ ამგებლო ქარხნებმა ნოემბრის თვის განმავლობაში გამოუშვეს 4 ახალი ორთქლმავალი და 10 სამგზავრო რონოდები.

ლენინის სახელობის სახალხო სახლი.

მოსკოვის ხუროთმოძღვრების საზოგადოებამ გამოაცხადა კონკურსი ლენინის სახელობის დიდი შენობის აგების შესახებ ივანოვო-ვოზნესენსკში.

ლონდონის ავტობუსები მოსკოვისათვის.

ლონდონიდან მოსკოვში იგზავნება 26 ავტობუსი (ეტლი-ავტომობილი). ავტობუსები მიღებული იქნება მოსკოვში იანვრის შუა-რიცხვებში.

საცივებელი გასაზიდ საქონლისათვის.

ლენინგრადის ნავთსადგურში დაწყებულ იქნა მუშაობა დიდი საცივებელის გასაკეთებლად გასაზიდ საქონლისათვის (განსაკუთრებით კარაქისა და კვერცხისათვის.

მისი აგება დაჯდება მილიონ ნახევარი მანეთი.

ადგილობრივი ცნობები.

მასწავლებელთა კონფერენცია.

შესდგა ახალ სენაკის მასწავლებელთა სამაზრო კონფერენცია. დაესწრო 120 დელეგატი. კონფერენციამ მოისმინა მოხსენება შემდეგ საკითხებზე: 1. საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები და საბჭოთა აღმშენებლობის ამოცანები, 2. მასწავლებლობა და პროფმოძრაობა, 3. მე-13-ე პარტიული ყრილობა და სახალხო განათლების ამოცანება, 4. მასწავლებლობა და ახ. კომკავშირი.

არჩეულ იქმა 11 დელეგატი სრულიად საქართველოს მასწავლებელთა ყრილობისათვის.

რადიო ყოველ მხრიდან

გადახვეწილ ბერძნების საკითხი.

ამას წინად შერეულმა კომისიამ გადასწყვიტა შეუშვა საბერძნეთში ის ბერძნები, რომლებიც გამოიქცენ ოსმალეთიდან და ამ ჟამად საბჭოთა ტერიტორიაზე იმყოფებიან. დღეს საბერძნეთს საშუალება არ აქვს მოაწყოს გადმოხვეწილები და გადასდოს ეს ზომები.

მაგრამ მათი ქონებრივი უფლებების დასაცავად დაავალ საბერძნეთის ელჩს მოსკოვში, მიიღოს განცხადებები ოსმალეთში დატოვებულ, გადმოხვეწილთა ქონების შესახებ.

I ქარ. მსრ. დივიზიის მესანგრეთა ასეულს მხედრული სალამი მისი არსებობის ორი წლის თავზე.

ორი წელი.

პირველი ცალკე მესანგრეთა ასეული ზეიმობს მისი არსებობის ორი წლის თავს.

დღეს შესრულდა ორი წელი მას შემდეგ, რაც პირველი დივიზიის ცალკე მესანგრეთა სეული ზეიმობს თავისი არსებობის ორი წლის თავს. მესანგრეთა ასეული მეტად მნიშვნელოვანი ნაწილია წითელ ჯარში. ის დიდ როლს თამაშობს თავისი სპეციალობით. ჩვენი მესანგრე ასეული გამოიყო ცალკე სამხედრო ერთეულად 1922 წლის დეკემბერში. აქამდე მესანგრეთა ისტორია თითქმის იგივეა, რაც საკავშირო ასეულის. აქედან კი ასეულმა უკვე განცალკევებული ცხოვრება დაიწყო.

მიუხედავად მრავალ დამაბრკოლებელ მიზეზებისა, რომლებიც წინ ელობებოდენ ასეულს ამ ორი წლის განმავლობაში, მან მაინც პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა და დღეს ორი წლის თავზე შეუძლია სთქვას, რომ ქართული დივიზიის სხვა ნაწილებს სრულიად არ ჩამოუვარდება.,

უნდა ითქვას, რომ სხვა ნაწილებთან შედარებით მესანგრეებს დიდი საპასუხისმგებლო და საშრომო საქმე აწვათ თავზე. ორი წლის განმავლობაში ის ყოველთვის მედგრად იდგა თავის სადარაჯოზე და არც ერთხელ არ დაუხევია უკან მუშურ-გლეხური ხელისუფლების დაცვის საქმეში. განაკად ყოფნის ხანებში ასეული მჭიდროდ დაუკავშირდა სოფლის მშრომელ გლეხობას და კულტურული დახმარების გარდა დიდათ ეხმარებოდა გლეხებს სოფელში გზების, ხიდეების გაკეთებაში და სხვა.

თვე ნახევარია მას შემდეგ, რაც გავისტუმრეთ ძველი წითელ არმიელები უვადო შვებულებაში. მიღებული ცნობებით ისინი დიდათ ეხმარებიან სოფლებს. ასევე მოამზადებს ჩვენი ასეული ახალწვეულებსაც.

მშვიდობიანობის დროს სამეურნეო ფრონტზე, სოფლებში ენერგიული მუშაობა, ხოლო თუ ვინმემ გაბედა და თავს დაესხა ჩვენს მუშურ-გლეხურ რესპუბლიკების კავშირს, გააფთრებული ვეკვეთებით და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცავთ წითელ დროშას.

აი რას ამბობს ჩვენი ასეული თავისი ორი წლის არსებობის თავზე.

სამხკორი **გიორგაძე.**

ენერგიული მუშაკები.

დღეს ჩვენი ასეულის ორი წლის არსებობის თავზე, საჭიროა აღინიშნოს ის ამხანაგები, რომლებიც თითქმის ასეულის დაარსებიდან იდგენ მის რიგებში და პატიოსნად ასრულებდენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას.

პირველი ასეთი მუშაკი ასეულის სამხკომი ამხ. სერგო ჯავახოვია. ის ყოველთვის ძლიერ დაინტერესებული იყო ასეულის კეთილდღეობით. დღიდან ქართული ჯარის დაარსებისა ამხ. სერგო მის რიგებში იდგა და ენერგიულად ეწეოდა მუშაობას, ხოლო მესანგრე ასეულის სათადარ ბილიხაძეს. ის ასეულის დაარსებიდან სულ ჩვენთან მსახურობდა და იშვიათურის პატიოსნებით ასრულებდა თავის მოვალეობას. სწორედ ამიტომ იყო, რომ ამ მხრივ მუდამ წესრიგიანობა იყო მესანგრეებთან. ვეში ჩადგომით მან სამუდამოთ დაიმსახურა სამაგალითო მზრუნველისა და იშვიათი ამხანაგის სახელი.

ბევრი რამ გაკეთდა ასეულში ამხ. ინიციატივით. არც ერთი დარგი არ დარჩენილა მისი ყურადღების გარეშე. განსაკუთრებით დიდ მზრუნველობას იჩენდა ამხ. წითელ მოლაშქრეებისადმი და თითეულ მათ მოთხოვნილებას სასწრაფოდ აკმაყოფილებდა. უსურვებთ ამხ. სამხკომს დაუღალავად განაგრძოს თავისი მუშაობა ასეულის საკეთილდღეოდ.

დიდი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე ასეულისადმი ხაზინა-

დღეს ის გვცილდება. გადაიყვანეს სხვა ნაწილში. ორი წლის თავზე ჩვენ ვაფასებთ მის პატიოსან მუშაობას და უსურვებთ ისეთივე ენერგიით განაგრძოს სხვაგან თავისი საქმე, როგორც ჩვენთან.

სამხკორი **ლევი.**

მეოთხე ლეგ. წითელ მეთაურთა ბიურო

ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში ქართულ მეოთხე ლეგიონში შესდგა წითელ არმიელთა კრება, რომელზედაც ამორჩეულ იქნენ წითელ მეთაურთ ბიუროს ახალი შემადგენლობა. ბიუროში არჩეული იქნენ სულ რვა კაცი, 5 წევრი და 3 კანდიდატი.

ჩვენი ბიურო დიდ ყურადღებას აქცევს უმფროსებისაგნ პოლიტიკური მეცნიერების შესწავლის საქმეს.

ამასთანავე ბიურო მოუწოდებს ყველა ლეგიონების წითელ მეთაურებს, რომ გააბან ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი, თვალყური ვადევნოთ ერთმანეთის მოქმედებას, რათა უფრო ადვილად შევსძლოთ ყველა იმ ნაკლულევანებათა გამოსწორება, რომლებსაც აღგილი აქვთ ჩვენს შინაურ ცხოვრებაშიო. იმედია ამ მოწოდებას ღირსეულად გამოეხმაურებიან ყველა ჩვენი ამხანაგები წითელი მეთაურები.

ნ. მეთაური **ქ. ფ ლი**

უმცროსი მეთაურები იმედებს გვიმართლებენ.

ამას წინეთ უმც. მეთ. სკოლიდან გამოშვებული მეთაურთა ერთი ნაწილი გადმოგზავნილ იქნა 1-ლ ლეგიონში. ამათგან ცხრა ამხ. მოხვდა მე-9-რე ასეულში.

ეს ამხანაგები ასეულის საერთო ყურადღებას იქცევენ თავისი ამხანაგური და მეტისმეტად ზრდილობიანი მოპყრობით, როგორც უფშემადგენლობასთან, ისე წითელ არმიელებთან. ამხანაგებმა მიმართეს ამ უკანასკნელათ გამოშვებულ წითელ კომანდირებს ამხ. მაჭარაძეს და მაღალაშვილს განემეორებიათ მათთვის სამხედრო საქმე. ამრიგათ ეს ამხანაგები ყოველთვის წინდაწინ თვით იმეორებენ ყველაფერს და შემდეგ წითელ არმიელებს ასწავლიან.

ასეულში წარმოებულ საქმიანობაში (ლენინის კუთხე, სამკითხველო, სხვა და სხვა კომისიები და უჯრედები) აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ და აქეზებენ ყველას მიიღონ უშუალო მონაწილეობა მუშაობაში. ასევე ითქმის სხვა ნაწილების უმცროს მეთაურებზედაც, რაც საშვალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ამხანაგები უეჭველად გაგვიმართლებენ იმედებს.

მ. ც.

საზეიმო სხდომა.

მეთაურთა სკოლის მეორე ასეულის წით. კუთხის გახსნის გამო.

11 დეკემბერს მეთაურთა სკოლის მეორე ასეულმა გახსნა თავისი ახლად მოწყობილი ლენინის კუთხე. ამის გამო მოწყობილი იქნა ასეულის საზეიმო კრება, რომელსაც დაესწრენ სკოლის კლუბის უფროსი ამხ. შარაშენიძე, ათასეულის კომისარი ამხ. შელია და ყველა ასეულებისა და განყოფილებების წარმომადგენლები. საზეიმო კრება გახსნილად გამოაცხადა ასეულის პოლიტხელმა. ორკესტრმა შეასრულა ინტერნაციონალი.

შემდეგ დაიწყო მისალმებები. პირველი სიტყვით გამოვიდა კლუბის უფროსი ამხ. შარაშენიძე, შემდეგ კომისარი შელია, ასეულის თავი ამხ. გელაშვილი და სხვა და სხვა განყოფილებების და ასეულების კურსანტები, რომლებიც ულოცავდენ მეორე ასეულს კუთხის გახსნას უსურვებდენ მათ ენერგიულ საქმიანობას. განსაკუთრებით მადლობა გადაეხადათ იმ ამხანაგებს, რომლებმაც უკანასკნელი ძალღონეც კი არ დაზოგეს ასეთი მშვენიერი კუთხის მოწყობისათვის.

მისალმებების შემდეგ შემოტანილი იქნა წინადადება, რომ ასეულმა მადლობა გამოუცხადოს კუთხის მომწყობ კომისიას და მათი ასეთი თავდაუზოგველი მუშაობისათვის აღინიშნოს მათი სახელი და გვარი წითელ დაფაზე.

წინადადება მიღებული იქნა ერთხმად.

სამხკორი **მაისაია.**

სამხატვრო ინსტიტუტი ექსკურსიაზე.

კვირას, შვიდ დეკემბერს, კავკასიის წითელ დროშოსან არმიის სამხატვრო ინსტიტუტმა მოაწყო ექსკურსია, ახლად გახსნილ ქართველ მხატვართა სურათების გამოფენაზე.

ექსუკრსია მოეწყო ხსენებული ინსტიტუტის გამგის ამხ. გამბურგის ხელმძღვანელობით. 12 საათზე ინსტიტუტის ყველა ჯგუფის მსმენელებმა თავი მოუყარეს ხელოვნების მუშაკთა სახლთან. პირველად დავათვალიერეთ მუზეუმი მისი ზოოლოგიური განყოფილებით, ხოლო შემდეგ გადავედით ქართველ მხატვართა სურათების გამოფენაზე.

გამოფენაზე ზოგიერთ მხატვრების სურათებმა დიდი ყურადღება მიიქცია. შეიძლება ითქვას, გამოფენაზე ბევრი რამ ვისწავლეთ, განსაკუთრებით მორადების მოხმარების მხრივ.

ინსტიტუტის გამგე ამხ. გამბურგი მადლობის ღირსია ექსკურსიის მოწყობისათვის. სასურველია მომავალშიც მოაწყობდეს ასეთი ხასიათის ექსკურსიებს, რასაც დიდი ნაყოფი მოაქვს სკოლის გარეშე განათლების საქმეში.

ლაშქრელი **ინსტიტუტელი.**

1-ლ ლეგიონის 9-რე ასეულის ცხოვრებიდან

ჩვენი ასეულის ახალ წვეულთა 80 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარია. 10 პროც. შეადგენს მცირე მცოდნეები და ორ-სამ კლასიანები, ხოლო 5 პროცენტი კი საშვალო ცოდნით არიან.

უცოდინართა უმრავლესობა ოსებია და ზუგდიდის მაზრის სოფლებიდან მოსული ამხ. მეგრელები.

მცოდნეთა რიცხვში უმრავლესად ოზურგელები და სენაკლები ითვლებიან.

არიან აგრეთვე სხვა ეროვნების ამხანაგებიც.

ჩვენი სოფლის ცხოვრება

ქუთაისის გლეხკომების შემოსავალი.

1924 საანგარიშო წლის განმავლობაში ქუთაისის მაზრის გლეხკომების შემოსავალი უდრის 32.326 მანეთს, გასავალი კი 30.408 მან.

მებამბეობა.

საქ. მებამბეობის მთავარმა კომიტეტმა დაადგინა საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში მოაწყოს მებამბეობის საჩვენებელი მინდორი.

გლეხკომების სამუშაოთ.

მოკლე ხანში გამოვა სოც.-უზრ. კომისარიატის შედგენილი დებულება სოფლის გლეხკომების მუშაობის შესახებ. დებულება დაეგზავნებათ გლეხკომებს.

ახალი ფაბრიკა.

აფხაზეთის სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით სოხუმში მოკლე ხანში გაიხსნება ახალი თამბაქოს ქარხანა.

სოფლის ახალგაზრდობის სკოლები.

მომავალი წლის განმავლობაში ტფილისის მაზრის სოფლის ახალგაზრდობისათვის განზრახულია გაიხსნას 3 სკოლა.

ასეულის შემადგენლობის თითქმის ნახევარს ძლიერ უმძიმს ქართული ენაზე თავისუფლი საუბარი. ასეულის შემადგენლობა დაყოფილია ჯგუფებად და თითეულ მათგანთან სწარმოებს შესაფერი მეცადინეობა.

სკოლა.

სკოლაში წერა-კითხვის სწავლა სწარმოებს ახალი მეთოდით ორ-ორ-საათს ყოველ დღიურათ, დილაობით.

წერა-კითხვის უცოდინარები გაყოფილ არიან სამ ჯგუფათ. მასწავლებლებათ გამოყენებულია საშვალო ცოდნის წითელ არმიელები, რომლებსაც აქვთ ცალკე ოთახი და თვით ემზადებიან ამ საქმისათვის. ახალწვეულ წითელ არმიელები დიდი ხალისით ეკიდებიან სწავლის საქმეს.

ლენინის კუთხე.

კუთხეში სწარმოებს ხმა მაღალი ჯგუფური კითხვა ახსნა განმარტებით. აქვე ხდება პოლიტ-საათი, პარტიული და სხვა სახის კრებები. ჯერჯერობით ეხლად დაარსებული კუთხეში მეტი არაფერი გაკეთებულა, ხოლო, განზრახულია ამ მოკლე ხანში მოწყობილ იქნას პოლიტ-ლატარეია, სხვა და სხვა პოლიტ-სთამაშოები და პოლიტიკურ—ლიტერატურული გასამართლება და კომპლექსიური საღამო.

სამკითხველო.

ჩვენს სამკითხველოს ლეგიონის სამკითხველოდან მოსდის 5 ცალი გაზ. „წითელ არმიელი“, თითო: „კომუნისტი“, „მუშა“, „მიწის მუშა“ და ზოგი ჟურნალები.

ხშირათ ხმა მაღლა უკითხავთ არმიელებს პროლეტარულ მწერლების რევოლიუციონურ ლექსებს.

პარტიული და ა. კ. კავშირის მუშაობა.

ამ ერთი კვირის წინ შესდგა კომუნისტთა და ა. კ. კავშირის წევრთა საერთო კრება, არჩეული იქნა მდივანი და ახ. კ. ჯგუფის ორგანიზატორი.

გამომუშავებულია მუშაობის გეგმა და კრების დღე და საათი, ამას გარდა ახ. ა. კ. კავშირი ეწევა დამოუკიდებელ მეცადინეობას უპარტიოთა თანდასწრებით თავისი სახეობის შესანარჩუნებლათ.

სამხედრო საქმე და პოლიტ-საათი.

აქ უმთავრესად სწარმოებს მეცადინეობა თოფის ხმარებაზე და მწყობრზე,

პოლიტ საათში კი წითელ არმიას და მის დანიშნულებაზე ახალი მეთოდით. წითელ არმიელებს ძლიერ აინტერესებს როგორც ერთი. ისე მეორე-რაც სჩანს მათი სისტემატიური დასწრებით, შეთვისებით და მრავალ გვარ შეკითხვებიდან.

ე. ცომაია.

მეორე დივიზიის საკავშირო ასეულის ცხოვრებიდან.

სასკოლო საქმე.

ასეულში სასკოლო მეცადინეობა კარგად მიმდინარეობს. სკოლაში ირიცხება სულ 11-12 წერა-კითხვის უცოდინარი წითელ არმიელები, რომლებიც ამ ახლო მომავალში დაასრულებენ სწავლას. ამის შემდეგ ასეულში არ დარჩება არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი ამხანაგი.

მასწავლებლებს ძლიერ უჭირთ მეცადინეობის წარმოება, რადგან არა აქვთ არმიელებისათვის სახელმძღვანელო წიგნები.

კომუჯრედი.

კომუჯრედის ენერგიული მუშაობის გამო ნაწილის უპარტიო მეთაურები და წითელ არმიელები მასიურად მიისწრაფიან პარტიის რიგებისაკენ. ამ რამოდენიმე დღის წინად კომუჯრედმა უშუამდგომლა 3 წ. არმიელს პარტიაში მიღების შესახებ.

ამ დღეებში კი გაირჩევა ორი წითელ მეთაურის განცხადება ამავე მიზნით.

სამხედრო საქმე.

პირველ დეკემბრიდან დაიწყო ასეულში სპეციალური და სამწყობრო ხასიათის მეცადინეობა, არმიელები გულმოდგინეთ ეკიდებიან ამ საქმეს. მეთაურებსა და მოლაშქრეებს შორის ამხანაგური განწყობილება არსებობს. დისციპლინა ძლიერ დაცულია და ყველა შეგნებულად ასრულებს.

ოქტომბრის დღესასწაულს კარგად მომზადებული შევხვდით. ამ დღეს მოვიდენ ჩვენთან ფოსტა-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეები და დაგვირიგეს საჩუქრები.

9 ნოემბერს ასეულში მოეწყო პოლიტ-ლატარეია, რო-

მელმაც გამოაშკარავა თუ როგორი ინტერესით ეკიდებიან პილიტ მეცადინეობას ჩვენი არმიელები.

ასეულში ბევრ ნაკლულოვანებასაც აქვს ადგილი, მაგრამ სრული იმედი გვაქვს ესენი გამოსწორდებიან ამ ახლო მომავალში.

სამხკორი სერმონია.

წითელ-არმიელთათვის საჭირო ცნობები ვეტერინარიიდან.

თავლის მოწყობა.

თავლაში უნდა იყოს მეტი სინათლე, რადგანაც სინათლეს ცხენის მხედველობისათვის დიდზე უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ამ მიზნით ისე უნდა გაუკეთდეს ფანჯრები თავლას, რომ სინათლე პირდაპირ თვალებში არ ურტყამდეს ცხენებს და უკანასკნელებს შეძლება არ ექნეთ ფანჯრებს ლაფშებით მისწვდენ. ფანჯრების გაკეთება თავლაში უკეთესია ან ორივე მხარის კედლებში, ან ჭერში, ან იმ კედელში, რომლისაკენაც ცხენები უკანა ფეხებითა სდგანან. თავლის ჭერი უნდა იყოს მაღალი და იმგვარად გაკეთებული, რომ მასში ვერ გადიოდეს ვერც სიცივე და ვერც მტვერი.

უკანასკნელის თვალებში ჩაყრა თვალებს უვადმყოფებს ცხენებს და ხშირად მხედველობასაც უკარგავს.

ზაფხულობით თავლაში ჰაკრის სისუფთავისა და სიგრილისათვის შესაძლებელიც და სასარგებლოცაა ერთის მხრით ფანჯრებისა და კარების გაღება. თავლის კარები უნდა იღებოდეს შიგნიდან გარედ და იმდენად ფართე და მაღალი უნდა იყოს ისინი, რომ შეკაზმულ ცხენს თავისუფლად შეეძლოს მათში გასვლა-გამოსვლა. თუ კარების ფიცრები დახეთქილი არიან, იმ შემთხვევაში დახეთქილ ადგილებზე სიცივის დასაკავებლად გარედან ჩალა უნდა შემოვადვად და შემდეგ ჭილოფი შემოუჭიროთ. კარების საძირკველი იმდენად დაბალი უნდა იყოს, რომ მასზე ცხენს ფეხის წამოკვრა არ შეეძლოს. საძირკვლის ორივე მხარეზე, როგორც შიგნიდან ისე გარედან, საჭიროა მივაყაროთ და კარგად მივატკეპნოთ ან მიწა და ან თიხა. უკანასკნელი უკეთესი იქნება. იატაკი თავლებში შეიძლება ბევრნაირი იყოს:

თიხის, ფიცრულის, აგურის, უბრალო მიწის, ქვაფენილის და სხვა. საუკეთესოდ თიხის იატაკი ითვლება და ყოველმა ნაწილმა უნდა ეცადოს თავის თავლებში ასეთი იატაკი და ცხენების უკან გასარები ადგილი გააკეთოს. თიხის და საზოგადოთ ყოველგვარი იატაკი წინიდან უკან ცოტა დაფერდებული უნდა იყოს, რომ შარდს უკან წასვლა შეეძლოს. იატაკზე არასოდეს არავითარ ორმოს ადგილი არ უნდა ჰქონდეს. თუ ასეთი ორმოები იქნებიან, ისინი ყოველ დღეს უნდა ამოვაშროთ, ახალი თიხით ავავსოთ, დავტკეპნოთ და ზევიდან სილა დავაყაროთ.

კერძო თავლის დაკავების დროს იატაკი დაუყონებლივ უნდა მოვასწოროთ. თუ წინეთ ცხენები ან საქონელი ება იქ, იატაკის ზედა პირი სულ უნდა ავილოთ და ზევიდან ჯერ ახალი მიწა მოვაყაროთ, მერე თიხით დავტკეპნოთ, შემდეგ სილა დავაყაროთ, შარდის წასასვლელი პატარა კვალები ამოვიღოთ და ბოლოს ცხენების მისაბმელად ბაგების კედლებში, ან წინა სვეტებში შებურღვილი რკინის რგოლები გავაკეთოთ. თუ ცხენები წკნელისაგან მოლობილ ცალპირ კედლიან თავლაში ან სარაიებში იქნებიან მოთავსებული, იმ შემთხვევაში საჭიროა მეტი სითბოსათვის თავლის და სარაიების ცალპირა კედლები ორპირად გადავაკეთოთ, კედელს და კედელს შუა მიწა ან ჩალა ჩავატანოთ და გარედან და შიგნიდან თიხით შევლესოთ და არა ნეხვით, როგორც ამას ხშირად თვით მცხოვრებლები შვრებიან. თავლების კედლებზე არ უნდა იყოს მისობილი არავითარი ლურსმები და არც სხვა რამე წვეტიანი საგნები, რომლებისაგანაც შესაძლებელი იქნება ცხენის დაშავება. ბაგები იმ სიმაღლეზე უნდა იყოს გაკეთებული, რომ ცხენებს საკვების თავისუფლად ჭამისათვის კისრის იმაზედ მეტად მაღლა აწევა არ დასჭირდეთ, რასაც მათი ბუნება არ მოითხოვს.

ხშირად ბაგების ზევით სერსეროთებს (თავის ბადეებს) აკეთებენ და შიგ ცხენებს თივას უდებენ. ამ ბადიდან მართალია ცხენი თივასა სწიწკნის, უკანასკნელი არ იბნევა, მაგრამ სამაგიეროდ თივის მტვერი ცხენს თვალებში ეყრება და თვალები უფუჭდება. ასეთი სერსკროთების ხმარება ეხლა უარყოფილია და თუ რომელიმე ნაწილში ისინი კიდევ დარჩენილა, უნდა დაუყონებლივ აღებული იქნენ.

„მიმკბენარე“ ცხენებისათვის ბაგებს ან სულ არ აკეთებენ, ან თუ აკეთებენ, ისევ იატაკზე, რომ მათ კბილები ვერაფერს მოუჭირონ და ჰაკრი ვერა ყლაპონ.

ვეტექიმი **ფარეიშვილი.**

მეცნიერება და ტეხნიკა.

უმავთულო ტელეფონი მოძრაობაში მოსულ მატარებელში.

გერმანიაში მოახდინეს ცდა მოძრაობაში მოსულ მატარებლიდან უმავთულო ტელეფონზე. ცდა მოეწყო გერმანიის რკინის გზების სამმართველოს, გერმანიის ინჟინერთა საზოგადოების და რადიო-ტელეფონის კამპანიის წარმომადგენელთა მეთაურობით.

ბერლინიდან გაშვებული იქნა ცდების დასაყენებლად სპეციალურად მოწყობილი მატარებელი. ნაუენში გავლის დროს საშუალება მიეცა მგზავრებს მატარებლიდან რადიო-ტელეფონის საშუალებით კავშირი დაეჭირათ ბერლინის აბონენტებთან. რადიო-აპარატთან დგომის დროს ასახელებდენ ბერლინელ აბონენტის ნომერს, რომელსაც ჩვეულებრივად უერთებდენ ცენტრალური სადგურიდან და რამოდენიმე წუთის შემდეგ სურვილისამებრ ელაპარაკებოდენ გამოძახებულ აბონენტს ბერლინში.

მატარებლის სიჩქარე ამ დროს 40 ვერს უდრიდა თითეულ საათში.

ვაგონების ბორბლების ხმაური სრულიად არ აფერხებდა საუბრის წარმოებას.

ამ ჟამად გერმანიის რკინის გზათა სამმართველო ყველა რკინის გზებზე მოძრავ ჩქარ მატარებლებში აწყობს ასეთ რადიო-ტელეფონებს.

სპეციალურად მოწყობილ ვაგონში, რომელიც მიებმება ჩქარ მატარებლებს, გაიმართება რადიო გადამცემი და მიმღები სადგურები. რადიო-ტალღები გაჰყვებიან რკინის გზის მიმართულებას, სანამ არ გაიბმება კავშირი საჭირო ქალაქთან. ამის შემდეგ ასახელებენ აბონენტის ნომერს და ქალაქის რადიოტელეფონისტი აერთებს გამოძახებულს სურვილისამებრ.

სამხედრო ტრიბუნალი.

12 დეკემბერს სამხედრო ტრიბუნალმა, სასამართლოს სხდომაზე შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე: გოგოჩაიშვილი, კოლეგიის წევრები: გაბუნია და ბაბლიძე.

განიხილა რა საქმე ცალკე საგაუბიცო ბატარეის წით. მოლ. ბობოხიძე გიორგი კონსტანტინეს-ძის-ბრალი ედებოდა დეზერტირობაში და მასზე სახმარებლად გაცემული სახაზინო ქონების გაფლანგვაში. სასამართლოს სხდომაზე დამამტკიცებელი საბუთებით, მოწმის და თვით ბრალდებულის დაკითხვით გამოირკვა შემდეგი: წ. მ. გიორგი კონსტანტინეს-ძე ბობოხიძე ყოფილა გამოწვეული სამხედრო ბეგრის მოსახდელად ა. წ. ივლისის თვეში და ჩარიცხული—ცალკე საგაუბიცო ბატარეიაში—12 ივნისს, 19 ივლის ის გაქცეულა თავისი ნაწილიდან ვაზიანში ყოფნის დროს. დაუყვია სახლში სოფელ გორდში სამი თვე და 11 დღე, რომლის შემდეგ ყოფილა შეპყრობილი და მიცემული პასუხისგებაში.

დაბრუნებისას მას არ აღმოაჩნდა მასზე სახმარებლად გაცემული ნივთები. სახელდობრ ერთი—პირსახოცი და ერთი წყვილი ტოლაღები.

ბრალდებულმა ბობოხიძემ იცნო თავი დამნაშავედ ორივე ბრალდებაში და განმარტა: რომ ეს მას მოუვიდა მისი შეუგნებლობით, რაც შეეხება სახაზინო ნივთებს ერთი ტოლაღის და ერთი პირსახოცის გაფლანგვა დაასკვნა, ტოლაღები მან წაიღო სახლში და მის ძმას უხმარია, სადღაც დაკარგვია ტყეში მუშაობის დროს, მხოლოდ პირსახოცი დასტოვა ნაწილში. სასამართლომ დამტკიცებულად იცნო წაყენებული ბრალდებები და მიუსაჯა მას დეზერტირობისათვის ექვსი თვე საჯარიმო გუნდში მოთავსება და 10 მანეთი ქონების კონფისკაცია, დაკარგულ ნივთების ასანაზღაურებლად.

გნია.

ახალი ამბები.

— **წითელ არმიელთა და ფლოტის სახლი.** დღეს ტფილისში გაიხსნება წითელი არმიის და წითელი ფლოტის სახლი, რომელშიაც მოწყობილი იქნება სხვა და სხვა გასართობები.

— **წითელი ჯვარი.** საქ. წითელი ჯვრის ფონდის გასაძლიერებლათ მთელ საქართველოში ამ მოკლე განში ჩატარებული იქნება სამ დღეული.

— **საჩივრების ყუთები გამსახლში.** შინ. საქ. სახ. კომისარიატმა მისწერა ყველა საპატიმრო ადგილების უფროსებს რომ მათ გამოჰკიდონ ყველა გამასწორებელ სახლებში პატიმართა საჩივრების ყუთები.

— **წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი.** დასავლეთ საქართველოში 100 კაცში 45 წერა-კით. უცოდინარია, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში კი 75.

— **არქეოლოგიური აღმოჩენები.** ქუთაისის ახლო ძველ ციხის უქიმერიონის თხრის დროს აღმოაჩინეს მრავალი არქეოლოგიური მნიშვნელობის განძები ქვის საუკუნიდან.

— **საბინაო გადასახადი.** ახლათ გამომუშავებულ საბინაო გადასახადის ცხოვრებაში გასატარებლათ ქალაქის აღმასკომთან დაარსდა სპეც. კომისია.

— **წლის მოწოდება ქალაქისთვის.** ტფილისის სტატ. განყოფილების ცნობით ნოემბრის განმავლობაში ავჭალის წყალსადენა მიუწოდებია ქალაქისთვის 33.519.301 ვედრო წყალი.

თავისუფალ წუთებში.

ცოტა რამ თოფის შესახებ.

ზოგიერთი მკვეხარა მეტყვიამფრქვევე ხშირად ლაპარაკობს ხოლმე, რომ ტყვიამფრქვევს ისეთივე ძალა აქვს ომში, როგორც მთელ ფეხოსან ოცეულს. როდესაც ამას გაიგონებს ახალგაზრდა წითელ-არმიელი აუცილებლად გაიფიქრებს: თუ ტყვიამფრქვევს ასეთი ძალა აქვს მაშინ

რალა საჭიროა თოფი?

თამამად შეიძლება ითქვას, რომ თოფი აუცილებლად საჭიროა და ის ერთად ერთი საუკეთესო იარაღია თითეული მსროლელისათვის. ამას გარდა ტყვიმრქვევები მაინცა და მარნც ჩვენ იმდენი არა გვაქვს და უთოფოდ კი ჩვენი წითელი ნაწილები სრულიად გამოუსადეგარი იქნებიან.

აბა შევხმდოთ უცხოეთის არმიებს?

თოფი იქ ყველა არმიებშია. რომ საჭირო არ იყოს და უთოფოდ შეიძლებოდეს მოქმედება, ჩვენ კარგად ვიცით, რომ მათ ტყვიამრქვევები ბლომად აქვთ, აიღებდენ და თითეულ ჯარისკაცს ტყვიამრქვევებით შეიარაღებდენ, მაგრამ ეს არ არის მართალი.

თოფი იქაც საჭირო ყოფილა, და მით უმეტეს ჩვენ უფრო დიდხანს დაგვჭირდება კიდევ.

თოფის უპირატესობა.

ეხლა განვიხილოთ რა უპირატესობა აქვს თოფს და რით არის ის კარგი. თოფი საკმაოდ სწრაფად მსროლელია-კარვი მსროლელი ერთ წუთში 15 ჯერ გაისვრის ტყვიას. შემდეგ, ის მსუბუქია. თოფით თავისუფლად შეიძლება აწარმოო დაზვერვა, რაიმეს დაცვა, შეტევაზე გადასვლა და გადახოხვა.

ტყვიამფრქვევი მართალია სწრაფად ისვრის, მაგრამ ძლიერ მძიმეა. მაგალითად, „მაქსიმეს“ სისტემის ტყვიამფრქვევი იწონის 2 ნახევარს. მას ვერ მოიხმარ ისე თავისუფლად, როგორც თოფს.

მსუბუქი ტყვიამფრქვევი იწონის 30 გირვანქამდე, მაგრამ სამაგიეროდ ის სამჯერ უფრო სუსტია „მაქსიმეს“ სისტემის ტყვიამფრქვევებზე.

თოფიდან, რომ სროლის დაწყება გინდოდეს, მომზადებისათვის სრულიად საკმაოა 1-2 წამი, ხოლო ტყვიამფრქვევი რომ მოეწყოს სროლისთვის საჭიროა ორი კაცის მუშაობა 2 წუთის განმავლობაში. ორი წუთი კი სრულიად საკმაოა იმისთვის, რომ მოწინაალმდეგემ იხელთოს და დაგემალოს მხედველობიდან. აქედან გამოდის, რომ განცალკავებული მსროლელისათვის თოფი უფრო ხელსაყრელია.

ეხლა ბრძოლის დროს?

მართალია ტყვიამრფქვევი იმდენ ტყვიას გაისვრის ერთ წუთში, რამდენსაც მთელი ფეხოსანთა ოცეული, მაგრამ ტყვიამფრქვევი აწარმოებს სროლას ერთი ლულიდან, ხოლო ოცეული განყოფილება მთელი რამოდენიმე ათეული . თოფებიდან და ორასი ნაბიჯის არეზე. რომელი უფრო გაახვევს ცეცხლში მოწინაალმდეგის ადგილ-მდებარეობის დიდ არეს, ტყვიამფრქვევი თუ მთელი ოცეული? რა თქმა უნდა ოცეული.

ქვევით, ვსთქვათ, გადავედით იერიშზე. რომელი უფრო საშიში იქნება მოწინაალმდეგესათვის შეტევაზე გადასული ოცეული თუ ტყვიამფრქვევი, რომელიც საკმაოდ მოზრდილი არეზე უტევს და შეუძლია მარჯვენა ან მარცხენა ფრთის შამოვლა მოახდინოს? შეტევაზე გადასული ოცეული, რომელსაც უნდა მოწინაალმდეგების ხელში ჩაგდება, გაცილებით უფრო საშიშია.

შეიძლება ასედაც მოხდეს: ვსთქვათ დააზიანეს ტყვიამფრქვევი და გაფუჭდა ან მოხდა შეჩერება (задержка) რაც ხშირი მოვლენაა ტყვიამფრქვევში, ის ჩაჩუმდა.

ოცეულს კი ერთბაშად ვერ მოსპობ. ვსთქვათ გამოაკლდა მას რამოდენიმე კაცი, ისინი ვინც დარჩებიან ისევ გააგრძელებენ სროლას.

აი, ასე უნდა უპასუხოთ მკვეხარა ტყვიამფრქვევებს.

მიუხედავად ამისა ისინი ყოჩაღი ხალხი არიან მაინც და საჭიროა მათთან დამეგობრება.

საფრანგეთში ამჟამად ძლიერ დიდ ყურადღებას აქცევენ მიზანში სროლის საქმეს ბრძოლის დროს. როგორც არმიაში ისე კერძო მოქალაქეებშიც დიდი მზადებაა ამის გარშემო.

წითელ-არმიელმა მით უმეტეს უფრო დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას და შეისწავლოს მიზანში სროლა. თუ თოფი მარჯვე და საკმაოდ გამოცდილი მსროლელის ხელშია, ის არც კი ჩამოუვარდება ტყვიამფრქვევს.

მიზანში ამოღებული მტრის დასამარცხებლად, აქ საჭიროა მხოლოდ ერთი ტყვია.

მ.—ვ.

პასუხისმგებელი
რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე**

განცხადება.

ორშაბათს, დეკემბრის 15, დილის 10 საათზე, ცენტრალურ კლუბში შესდგება სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა ხემინარის მორიგი მეცადინეობა.

დღის წესრიგი:

1. **საცნობო მუშაობა – მომხს. ამხ. ქუროსბედიანი.**
2. **საერთო განათლების განყოფილება ლენინის კუთხეები – მომხს. ამხ. კალამკაროვი.**

დასწრება კლუბების უფროსების, კუთხეების გამგეების, (პოლიტხელების) ბიბგამგეების, ასეულების ბიბგამგეების სავალდებულოა.

ხელმძღვანელი **წვენიევი.**

ნ. ფ. ს. ც

სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3.

ტირაჟი 1500